



შემსუბუქების შესაძლებლობა ტრანსპორტის სექტორში

A-S-I-E მიდგომა (გაუქმება/შემცირება, შეცვლა/შენარჩუნება, გაუმჯობესება, შესაძლებლობა – ვრცლად იხ. ქვემოთ), მიზნად ისახავს, მიაღწიოს საბურთაო ვაჭრების ემისიების მნიშვნელოვან შემცირებას, ნაკლები ენერჯის მოხმარებასა და ნაკლებ გადატვირთულობას, რის შედეგადაც საბოლოო ჯამში, შეიქმნება უფრო მეტი საცხოვრებლად ვარჯისი ქალაქი.

A-S-I-E მიდგომა ხელს უწყობს

ალტერნატიული გადაადგილებების შესაძლებლობასა და მდგრადი ტრანსპორტის სისტემის განვითარებას.

A-S-I-E მიდგომის ძირითადი ასპექტები:

მიდგომა გულისხმობს ოთხი მთავარი მიმართულებას:

- გაუქმება/შემცირება,
- შეცვლა/შენარჩუნება,
- გაუმჯობესება
- შესაძლებლობა


“გაუქმება/შემცირება” აქცენტს აკეთებს ტრანსპორტის სისტემის გაუმჯობესების შესაძლებლობაზე. არის თუ არა შესაძლებელი, შემცირდეს მგზავრობის რაოდენობა ან მგზავრობის საშუალო დისტანცია? დიახ, ინტეგრირებული მინათსარგებლობის სწორი დაგეგმვისა და სატრანსპორტო საჭიროებების სწორი მართვის საშუალებით შესაძლებელია, შემცირდეს მგზავრობის საჭიროება, ისევე როგორც მგზავრობის ხანგრძლივობა.

“შეცვლა/შენარჩუნება” გულისხმობს მგზავრობის ეფექტიანობას. სასურველია, განხორციელდეს ყველაზე მეტი ენერჯის მომხმარებელი ურბანული

ტრანსპორტის (მაგ. მსუბუქი ავტომობილები) ჩანაცვლება ეკომეგობრული სახის ტრანსპორტით. კონკრეტულად, ცვლილება შესაძლებელია იყოს შემდეგი სახის:


- არამოტორიზირებული ტრანსპორტი – ფეხით სიარული და ველოტრანსპორტი, რომლებიც ეკომეგობრული სახის ტრანსპორტის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენენ.
- საზოგადოებრივი ტრანსპორტი – ავტობუსი, სარკინიგზო ტრანსპორტი და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტი ასევე წარმოქმნის ემისიებს, მცირე ენერჯის მოხმარება 1 კმ-ზე და მაღალი დატვირთულობის დონე ადასტურებს, რომ CO₂-ის გაფრქვევა 1 კმ-ზე ავტომობილებთან შედარებით გაცილებით დაბალია.

A-S-I-E მიდგომა



“გაუმჯობესების” კომპონენტი აქცენტს საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებებსა და სანავის ეფექტიანობაზე აკეთებს. ასევე ფოკუსირებულია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ოპტიმიზაციაზე. ხელს უწყობს სატრანსპორტო საშუალებებისა და მასთან დაკავშირებული ტექნოლოგიის ენერჯეფექტურობის გაუმჯობესებას. გარდა ამისა, გაცნობიერებულია ალტერნატიული ენერჯის პოტენციალი.

მეოთხე კომპონენტი “შესაძლებლობა” ეხება საჭირო საკანონმდებლო გარემოს, რომელიც აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს A-S-I-E მიდგომის ყოველდღიურობაში დამკვიდრების მიზნით.



ურთიერთსარგებელი

აშკარად შესამჩნევია უპირატესობები ზემოთხსენებული 3 მიმართულების მოთხოვნა ტრანსპორტზე – ტრანსპორტის მოთხოვნადობა, არჩევანის შესაძლებლობა და ტექნოლოგია. ASI მიდგომა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს გამონახვითი შემცირებას. საჯარო სივრცის სიცოცხლისუნარიანობა, უკეთესი ჰაერის ხარისხი ქალაქში, და ბევრი სხვა მნიშვნელოვანი უპირატესობა მოსალოდნელი ASI მიდგომის ყოველდღიურობაში დამკვიდრების შემთხვევაში (იხ. ქვემოთ).

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ შემუშავებული კრებული მდგრადი ურბანული ტრანსპორტის შესახებ აქცენტს მდგრადი ურბანული ტრანსპორტის პოლიტიკის ძირითად სფეროებზე აკეთებს. კრებული გადანყვეტილების მიმღებ პირთათვის, შედგება 30 მოდულისგან.

www.sutp.org

დამატებითი ინფორმაცია

- GIZ-SUTP - Urban mobility solutions: www.sutp.org
- vNAMAs: <http://mitigationpartnership.net/giz-2014-policy-recommendations-case-studies-and-tools-integration-sub-national-actors-national-miti>
- Transport-NAMAs: <http://transport-namas.org/>
- German Partnership for Sustainable Mobility: <http://www.german-sustainable-mobility.de/>
- GIZ Georgia: <http://www.giz.de/en/worldwide/359.html>

კონტაქტი

- Irakli Samharadze, irakli.samkharadze@giz.de
- Ulrich Kindermann, ulrich.kindermann@cimonline.de
- Armin Wagner, armin.wagner@giz.de

მაგალითი

პირი, რომელსაც სურს შეიძინოს გარკვეული საქონელი და სჭირდება გადაადგილება დგას შემდეგი გადანყვეტილებების წინაშე:

საწყისი პუნქტი
სახლისთვის საჭიროა სხვადასხვა საყოფაცხოვრებო საქონელი სხვადასხვა სიხშირით

პირველი გადანყვეტილება: რამდენად შორს უნევს მგზავრობა?

ინფრასტრუქტურის გონივრული დაგეგმვა: შეამცირებს მგზავრობის საჭიროებას?

გაუქმება/შემცირება

ფოტო ვადაღებულია Brad Cain, Dmitry Baranovskiy, Creative Stall, Alex Valdivia, Diego Naive, Yi Chen-ის მიერ

მეორე გადანყვეტილება: რა სახის ტრანსპორტით შეგიძლია ისარგებლო?

არამოტორიზებული და საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამოყენების წახალისება

შეცვლა

მესამე გადანყვეტილება: რა სახის საავტომობილო საშუალება გამოიყენო?

ავტომობილის ზომის შემცირება და ალტერნატიული საწვავის გამოყენება

გაუმჯობესება